

ქართველურ-აფხაზური ენობრივი შეხვედრები (კომპოზიტური წარმოების სიტყვები)

ენობრივი კონტაქტები არა მარტო ლექსიკური ერთეულების „გაცვლას“ განაპირობებს, არამედ ხელს უწყობს ახალი ერთეულების შექმნის პროცესს.

მხედველობაში გვაქვს ე. წ. ჰიბრიდული (ორენოვანი) კომპოზიტები, რომლების ფონეტიკური ადაპტაციის შემდეგ ახალ სიტყვათა რიგს აყალიბებს ენებში.

სტატიაში წარმოდგენილია ქართველურ-აფხაზური ენობრივი კონტაქტების შედეგად წარმოქმნილი ორენოვანი კომპოზიტები.

ჰიბრიდულ კომპოზიტთა წარმოქმნას სხვადასხვა მიზეზი უწყობს ხელს.

ხშირ შემთხვევაში კომპოზიტის წარმოქმნის მიზეზი ხდება სქესის მარკირების საჭიროება, მაგ: ჰიბრიდული კომპოზიტებია აფხაზურში დამკვიდრებული სიტყვები **ანამძე** „ძიძა, დედამძუძე“ (ჯანაშია 1954: 49), რომელიც ორი ინგრედიენტისაგან შედგება. პირველი აფხაზური **ან** „დედა“, მეორე კი ქართველურიდან შეთვისებული **ძიძა** > **(ა)ძძე**; **აბამძე** „ძიძის ქმარი, გამზრდელი“ (იქვე: 10), **აბ** (აფხაზ.) „მამა“. მეგრულში ლექსიკურ ოპოზიციას ქმნის წყვილი **ძიძე** „გამზრდელი, ძიძა“ და **მორდუ** „ძიძის ქმარი“ ზედმიწ. „გამზრდელი“. ქართველურიდან შეთვისებულ ფორმებში ფონოტაქტიკის წესების შესაბამისად აუსლაუტში მოხდა დიფთონგიზაცია. ასეთი სიტყვები (აუსლაუტში დიფთონგიზებული) აფხაზურ ნასესხებ ლექსიკაში მრავლად გვხვდება, მაგ. ქართ. **კალა** > აფხ. **ა-კალე**; მეგრ. **ბაჟა** > აფხ. **ა-ბჟე** „მმარი“; მეგრ. **თარჩია** > აფხაზ. **ა-თარჩე** „დოღი, მარულა“...

ამავე რიგისაა (სქესის მარკირების გამო წარმოქმნილი) **ა-ჟბატ** „ფურჩაქი“ (არშბა 1980: 23), **ა-ჟკამბაშ** „ფურკამეჩი“ (იქვე: 24), სადაც პირველი ნაწილი **ა-ჟ** აფხაზურად „ძროხის, ფურის“ აღმნიშვნელია, მეორე კი, პირველ შემთხვევაში მეგრული „ჩაქია“, მეორე კი მეგრულად ადაპტირებული „კამეჩი“ (**კამეჩი** > **კამბეჩი** > **კამბეში** > **ა-კამბაშ**).

აქვე განიხილება აფხაზური ჰიბრიდული კომპოზიტები **ა-ცზატ** „ხარზაქი“ (იქვე: 79), **ა-ცკამბაშ** „ხარკამეჩი“ (იქვე: 79); **ა-ც** „ხარია“ აფხაზურად.

რამდენიმე შემთხვევაში აფხაზური ენა ჰიბრიდულ კომპოზიტს იყენებს ძაღლის სახეობის აღსანიშნავად. კომპოზიტში **ა-მაწარლა** „სანადირო ძაღლი, მწევარი“ (არშბა 1980: 43) პირველი ინგრედიენტი **ა-მაწარ** ქართულიდან შეთვისებული მწვერის „გააფხაზურებული“ ფორმა, **(ა)-ლა** კი აფხაზური „ძაღლი“.

ჰიბრიდული კომპოზიტია „ნაგაზის“ აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ლამურა** (ბლაჟბა 1964: 87), სადაც **ა-ლა** „ძაღლია“, მეორე ნაწილი კი ქართულია.

ჰიბრიდულ კომპოზიტად განიხილება აფხაზური **ა-ლაფინა** „ფინია“ (კასლანძია 2005: 618), რომელიც ზედმიწევნით „ფინია ძაღლს“ ნიშნავს.

ქართველურ-აფხაზური კომპოზიტები გვხვდება აფხაზურ რწმენა-წარმოდგენების აღმნიშვნელ ლექსიკაში:

ქართული **მიზეზი** „მოვლენა, გარემოება, რომელიც იწვევს, აპირობებს, ხელს უწყობს, საფუძველს უქმნის ახალი მოვლენის წარმოშობას“ აფხაზურში რელიგიურ ტერმინად მოიაზრება: **ა-მზეზ** „რელიგ. მიზეზი“ (ჯანაშია 1954: 190); **ანცარგმეზეზ** „ღვთის სასჯელი“ (ჭარაია 1912: 32). პ. ჭარაიას აზრით, აფხაზურში შესულია ქართულიდან (იქვე: 14). შდრ. მეგრ. **ღორონთიშ დამიზეზებული** „ღვთისგან დასჯილი“, ზედმ. „ღმერთის დამიზეზებული“.

აფხაზი მეცნიერი შ. ინალ-ივა აფხაზურ წარმართულ სალოცავთა შორის მოიხსენიებს **ჯაჰაშქარნება / ჯახაშქარნება**-ს. ის გულრიფშის რ-ნის სოფ. წებელდაში მცხოვრებთა და აქედან ოჩამჩირის რ-ნის სოფ. ჭლოუში გადასახლებულ აფხაზთა სალოცავია (ანთელავა 2006: 118). სიტყვის მეორე ნაწილი აფხაზური **(ა)ნება** „ხატი, სალოცავია“, პირველი ნაწილის აფხაზურ ნიადაგზე ახსნა ვერ ხერხდება. სავარაუდოდ, ის მეგრული **ჯიხაშქარ**-იდან მომდინარეობს, რაც ზედმიწევნით „ციხისკარს“ ნიშნავს. სამეცნიერო ლიტერატურაში დაშვებულია მოსაზრება, რომ შესაძლოა ის **ჯეგეშქარი** (ჯეგე „წმ. გიორგი“) ფორმიდან მომდინარეობდეს (ანთელავა, იქვე).

ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში **ა-ჯარსახ** „ჯვრის სახე“ (ჯანაშია 1954: 447), რომლის ორივე ნაწილი ქართულია (**ა-ჯარ** „ჯვარი“, **ა-სახ** „სახე“). შდრ. მეგრული **ჯვარსახე** „პირჯვარი, პირჯვრის გადასახვა“.

აფხაზური **ა-სარკ** „დიდი ზარი“ (ჯანაშია 1954: 254), **ა-ზარკ** (კასლანძია 2005: 409) ქართულიდანაა შეთვისებული; სიტყვა გვხვდება აფხაზურ ჰიბრიდულ კომპოზიტებში: **ა-სარკ** **ა-ზარკ** **ა-სარკ** **ა-ზარკ** „ზარის ხმა“ (რალ 1964: 234), **ა-სარკ** **ა-ზარკ** „მნათე, ზარის მრეკავი“ (იქვე).

ქართულ-აფხაზური კომპოზიტია მონასტრის აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ბერთეფ** (რალ 1964: 331), **ა-ბაირთეფ** (კასლანძია 2005: 231) და ეტიმოლოგიურად „ბერის ადგილს“ ნიშნავს.

ორენოვანი კომპოზიტები გვხვდება აფხაზურ თვეთა აღმნიშვნელ სიტყვებში, სადაც პირველი ნაწილი ქართველურიდანაა ნასესხები, მეორე კი „თვის“ აღმნიშვნელი აფხაზური (**ა**)**მზა** - :

ხ **ა** **ჩ** **ა** **მ** **ა** **მ** **ზ** **ა** „იანვარი“ (შაყრილი 1987: 260); სიტყვის პირველი ნაწილი **ხ** **ა** **ჩ** **ა** **მ** **ა** მეგრული და ზედმიწევნით „ღორით სალოცავს“ ნიშნავს (სრულდებოდა საშობაოდ), მეორე კი „თვის“ აღმნიშვნელი აფხაზური (**ა**)**მზა**. სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

ხ **ა** **ჟ** **გ** **კ** **ვ** **ნ** **მ** **ზ** **ა** „თებერვალი“ (ჯანაშია 1960: 26). თვემ ეს სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ თებერვალში სრულდებოდა **ა-ხ** **ა** **ჟ** **ა**-ს, მეგრული **ხოზო**-ს შეწირვის რიტუალი. ხოზოს სპეციალურად მსხვერპლშეწირვისთვის, ან ყველიერის თავზე აკეთებდნენ. აფხაზურ ფორმაში შემავალი **ხ** **ა** **ჟ** მიიჩნევა მეგრული **ხოზო**-ს ფონეტიკურ სახეცვლილებად (ჭარაია 1912: 15).

მარეშემზა „აგვისტო, მარიამობისთვე“; კომპოზიტის პირველი ნაწილი აფხაზურში ნასესხებია მეგრულიდან: **მარაშნა** / **მარაშენა** „მარიამობა“, **მარაშინა** / **მარიაშინა** (ლაზ.) „მარიამობისთვე, აგვისტო“. მეგრულ-ლაზური ფორმა ზედმიწევნით „მარიამის ხსენებას“ ნიშნავს.

ა-გ **ა** **რ** **გ** **ბ** **ა** **ჟ** **ა** **ბ** **ა** **მ** **ზ** **ა** „ნოემბერი“ ზედმიწევნით „გიორგობისთვეა“ და ისევეა გაფორმებული, როგორც ქართული **გიორგობისთვე**, მეგრული **გერგობათუთა**. სიტყვა ქართულიდანაა შეთვისებული აფხაზურში (შაგიროვი 1989: 145).

ქ~გრსა-მზა „დეკემბერი“. სიტყვის პირველი ნაწილი **ქ~გრსა** მეგრულიდანაა ნასესხები (მაგიროვი 1989: 141), ტერმინიც მეგრულის ანალოგიითაა წარმოქმნილი: მეგრული **ქირსეთუთა** ზედმიწევნით ნიშნავს „ქრისტესთვე“.

ერთ-ერთ თემატურ ჯგუფში (კვების პროდუქტების აღმნიშვნელი ლექსიკა) კომპოზიტთა ერთი ნაწილი შემადგენელი მეგრულიდან (resp. ქართველურიდან) შეთვისებული სიტყვებია, მეორე ინგრედიენტად წარმოდგენილია აფხაზური (**ა**)**ჩაფა**, რომლის ამოსავალია **ა-ჩაფარა** „საჭმლის შეკმაზვა“: **ა-კალიაჩაფა** „ეკალას ფხალი“ (კოპეშავიძე 1980: 133), **ა-ხ°გლჩაფა** „კეჟერა ფხალი“ (იქვე), **ა-კამაჩაფა** „კამის ფხალი“ (იქვე). შესაბამისად აფხაზური ტერმინების ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „შეკმაზული ეკალა“, „შეკმაზული კეჟერა“, „შეკმაზული კამა“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კერძის საერთო სახელი აღნიშნულია აფხაზური ტერმინით, სახეობებს კი მეგრული (resp. ქართველური) ინგრედიენტი აღნიშნავს (ეს ტერმინები დაფიქსირებულია აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ჰიბრიდულ კომპოზიტთა ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ ამ დარგობრივ ლექსიკაში (კვების პროდუქტების აღმნიშვნელ სიტყვებში) გვხვდება.

ჰიბრიდულ კომპოზიტთა სოლიდური რაოდენობა გვხვდება რძის პროდუქტების აღმნიშვნელ აფხაზურ ლექსიკაში: **ა-შ°რთათა** „ჭყინტი ყველი“ (ჯანაშია 1954: 342), ზედმ. „თოთო ყველი“ (შდრ. სვან. **თოთ თაშ** „ჭყინტი ყველი“), **ა-შ°ჰჰა / -შ°ხჰჰა** „დაფშენილი ყველი“ (შდრ. ჭაჭუტა ყველი), **ა-შ°** „ყველია“ აფხაზურად. **ა-ხარწ°გსგძხალ** „მაწვნის შეჭამადი“ (კოპეშავიძე 1980: 135), სადაც პირველი კომპონენტი "მაწვნის" აღმნიშვნელი აფხაზური **ა-ხარწ°გ-ა**, მეორე (**ა**)**სგძხალ** კი მეგრული **საძხელი / საწხელი** (< ქართ. **საწებელი**).

ჰიბრიდული კომპოზიტთა აფხაზური **ა-ყ°გდხარკალე** „კირკაჟი“: **ა-ყ°გდ** აფხაზურად „ლობოს“ ნიშნავს, **ხარკალე** კი მეგრული **ხარკალია-ს** აფხაზურად ადაპტირებული ფორმაა და „კირკაჟს“ ნიშნავს. სხვათაშორის, მეგრულში „კირკაჟი“ სინტაგმით აღინიშნება: **ხარკალია ლეზია**.

ასევე ჰიბრიდულ კომპოზიტად განვიხილავთ ფორმებს: **ა-ჩეე-ჯკვა** „პურ-მარილი“ (ჯანაშია 1954: 345). **ა-ჩა** „პურია“, (ა)**ჯკვა** კი უნდა მომდინარეობდეს მეგრულში არსებული შესიტყვების **ჯიმუ-კაკილი**-საგან > * **ჯიმ-კაკილი** > * **ჯიმკა** > * **ჯიკა** (ლომთათიძე 1999: 27). იმავე ინგრედიენტს შეიცავს კომპოზიტი **ა-ჯკვამგრძ** „მარილწყალი, წათხი“ (იქვე: 450).

აფხაზური ტრადიციული წეს-ჩვეულებების დროს აუცილებელი ატრიბუტი იყო **ა-ჩა-ღაზალ** „რიტუალური პური“ (ჯანაშია 1960: 57), კომპოზიტის მეორე ნაწილი (ა)**ღაზალ** აფხაზურში ქართულიდანაა შესული, პირველი ნაწილი **ა-ჩა** კი აფხაზური „პურია“.

ჰიბრიდული კომპოზიტია აფხაზური **ა-ცხარანჯ** „ფიჭა“ (შაყრილი 1987: 318). **ა-ცხა** აფხაზურად „თაფლია“ (იქვე), ხოლო მეორე ნაწილი ქართველურში ფართოდ გავრცელებული: **სარაჯი / სარანჯი** „ფიჭა“.

ქართველურ-აფხაზური სიტყვები გვხვდება ნაგებობების აღმნიშვნელ აფხაზურ კომპოზიტებშიც:

ქართულ-აფხაზური კომპოზიტია **ა-განჯნგ**, რომელიც ზედმიწევნით „განის სახლს“ აღნიშნავს, შდრ. გურ. **განის სახლი**, მეგრ. **განიშ ცუდე** „განის სახლი“. ორთვალა სახლი, რომელსაც ერთი ოთახი უიატაკო, ჰქონდა, მეორე ოთახი კი ფიცრულით მოგებული.

ჰიბრიდული კომპოზიტებია აფხაზური **ა-ჯარგალაჯნგ** „ქოხი“ (რალ 1964: 243), **ა-ჯარგალაანდა** „ხის ღობე“ (კასლანძია 2005-ა: 684), სადაც პირველი ნაწილი მეგრული ჯარგვალია, მეორე კი „სახლი“ და „ღობე“.

ქართველური კომპონენტისგან შედგება კიდევ ერთი სახეობა აფხაზური სახლისა **აისგრჯნგ** „ისლით გადახურული სახლი“ (ბლაჟბა 1964: 204). **აისგრ** / **აისგრ** „ისლია“ აფხაზურად და მომდინარეობს მეგრული **ისირ**-ისგან. სიტყვის მეორე კომპონენტი **ა-ჯნგ**, რომელიც ხშირად შედის ნაგებობის აღმნიშვნელ ტერმინში, ქ. ლომთათიძის აზრით, უკავშირდება ქართულ **საყუდელ**-სა და მეგრულ **ცუდე**-ს (ლომთათიძე 1955: 824). თ. გვანცელაძეს მიაჩნია საკუთრივ აფხაზურ სიტყვად (გვანცელაძე 2011: 55).

აფხაზურში შერეულ, ორენოვან კომპოზიტთა რაოდენობა ერთობ შთამბეჭდავია.

ქართველურში ასეთი რიგის კომპოზიტთა რიცხვი ნაკლებია.

მეგრულში დამკვიდრებულია ჰიბრიდული კომპოზიტი **ხიჯებუა** „ხსენი“, სადაც **ხიჯე** < **ხიჯეჯა** < **ხიჯაჯა** < **ხეჯაჯა** < **ახჯაჯა** < აფხაზ. **ა-ხჯაჯა** „ხსენი“ (მეგრულში დაცულია ყველა ფონეტიკური ვარიანტი), **ბჟაკი** მეგრული „რძე“.

ჰიბრიდული კომპოზიტები მრავლად გვხვდება სამურზაყანოს ტოპონიმიკაში.

ჰიბრიდული კომპოზიტი გვაქვს ტოპონიმში **ჯოლორმაგა** – სამოვარი აკიბოს მთაზე, შედგება მეგრული **ჯოლორ-ი** („მაღლი“) და აფხაზური **(ა)მაგა-საგან** („მლაშობი“);

აფხაზური **ა-ჰაფე** „გამოქვამული, მღვიმე“ (ჯანაშია 1954: 454) ხშირად გვხვდება ჰიბრიდულ ტოპონიმებში: **კერბაიშ აჰაფუ** – მღვიმე ელიაკვარის მარცხ. მხარეს, **წყარამაჰაფუ** „წყლიანი მღვიმე“ – მღვიმე ოქუმბასთაში, **ჭითა აჰაფუ / ჭითა წყარიშ აჰაფუ** – მღვიმე მთა ოისირის კალთაზე (ცხადაია 2004: 153).

ასევე ხშირია აფხაზური **ა-ხრა** „ციცაბო კლდე“ (ჯანაშია 1954: 416) სიტყვისგან შემდგარი ტოპონიმები: **ახრაწყარი** – ოქუმწყარის ერთ-ერთი მდგენელია (ცხადაია 2003: 12), **აბძაკვარაშ ახრა** – ჭიუხები აბძაკვარის სათავესთან (იქვე). ამ უკანასკნელში სინტაგმის ორივე წევრი აფხაზურია, მაგრამ კავშირი მათ შორის მეგრული მართვის პრინციპითაა გაფორმებული, შესაბამისად ჰიბრიდულ კომპოზიტად ვთვლით. აგრეთვე **ახრაშქვინჯი / ახრაშწა** „კლდის ძირი“ – კლდის ძირები ყვარათბაში (იქვე: 36), **ახრაშ წყურგილი** „კლდის წყარო“ – წყარო ახრაში (იქვე), **გორდამილი ახრა** „დაღარული კლდე“ – კლდეები (იქვე: 54), **მიკოთოლირი ახრა** „ჩამოთლილი კლდე“ – პიტალო კლდე ახრაჯარაში (იქვე: 97), **ჭითა ახრა** – ტყე, კლდეები ოფუჯესა და ოჭაკეს შუა (იქვე: 211).

ბუნებრივია, რომ ჰიბრიდული ტოპონიმები სამეგრელო-სამურზაყანოს ტერიტორიაზე, ანუ აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ საზღვარზე გვხვდება. ამის ახსნა მარტივია, მაგრამ საგულისხმოა, რომ აფხაზურშემადგენლიანი ტოპონიმები (ჰიდრონიმები) გვხვდება აღმოსავლეთისკენ, ზემო სამეგრელოში, მარტვილის რეგიონში: **ეკუხონაშ აზმახი** ზედმ. „აღმართის ტბორი“, **ტოტოიაშ აძმახ**, **შვამახიაშ აძმახ**, **წიფერაშ აზმახ**, **ჯვარიშ აძმახ**,

ცორადილი ამნახი ზედმ. „დამპალი ჭაობი“ (ცხადაია 1999-ა). მსაზღვრელად ხან პირსახელია გამოყენებული (**ტოტოია, შვამახია**), ხან არსებითი სახელი (**ჯვარი**), ხანაც მიმღობა (**ცორადილი**).

მნიშვნელოვანია ამ ტოპონიმთა გავრცელების არეალი. ამ შემთხვევაში მეგრელთა და აფხაზთა თანაცხოვრებაზე ვერ ვილაპარაკებთ. უპრიანია გვეფიქრა, რომ ეს ტერმინები მომთაბარე მწყემსების ჩამოტანილია, რომლებსაც თავიანთ ტრანსჰუმანსურ მარშრუტებზე აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ აფხაზ მწყემსებთან. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ აფხაზურიდან შეთვისებული ლექსიკა ძირითადად სწორედ მთის ლანდშაფტსა და მესაქონლეობას უკავშირდება.

ლიტერატურა:

- ანთელავა 2006** – ნ. ანთელავა, აფხაზური მითები, რიტუალები. ენციკლოპედია, თბილისი
- არშბა 1980** – Н. В. Аршба, Словарь животноводческих терминов. Абхазско-русский, русско-абхазский. Сухуми
- ბლაჟბა 1964** – Х. С. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка, Тбилиси
- გვანცელაძე 2011** – თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბილისი
- კასლანძია 2005** – В. А. Касландзия, Абхазско- русский словарь, т. I-II, Сухуми
- კოპეშავიძე 1980** – Г. Г. Копешавидзе, Традиционная пища абхазов, проживающих в Аджарии, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, VIII, თბილისი
- ლომთათიძე 1955** – ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVI, # 10, თბილისი
- ლომთათიძე 1999** – ქ. ლომთათიძე, აფხაზურსა და ქართველურ ენებში არსებული ზოგი საერთო ფუძის ნასესხობის მიმართულებისათვის, ჩიქობავას საკითხავები – X. თბილისი

რალ – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми
შაგიროვი 1989 – А. К. Шагиров, Заимствованная лексика абхазско-
адыгских языков. Москва

შაყერილი 1987 – К. С. Шакрыл, В. Х. Конджария, Л. П. Чкадуа, Словарь
абхазского языка, т. II, Сухуми

ცხადაია 1999 – პ. ცხადაია, ტოპონიმიკური ინტერფერენციის
საკითხისათვის აფხაზთა და მეგრელთა ეთნიკურ-ტერიტორიულ
საზღვრებზე. ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი

ცხადაია 1999-ა – პ. ცხადაია, ზემო სამეგრელოს ჰიდრონიმია,
საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. II, თბილისი

ცხადაია 2003 – პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული
სახელწოდებანი, თბილისი

ჭარაია 1912 – П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим,
МЯЯ, IV, С.-Пб

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი

ჯანაშია 1960 – Н. С. Джанашия, Религиозные верования абхазов. Статьи
по этнографии Абхазии. Сухуми

Manana Bukia

Kartvelian-Abkhazian linguistic accordance - composites

Abstract

Article deals with composites resulting from a linguistic mixes of Kartvelian and Abkhazian languages, which produce, after phonetic adaptations, new sets of terms in respective languages.

Precondition for forming of hybrid composites is a necessity to express genders: ანაბბეა "Foster-mother, nurse; Geo. Dzirza" – აბაბბეა "Foster-father"; ა-ჟუბატ "Buffalo heifer" – ა-ცუბატ "Buffalo calf"; ა-ჟუკამბაშ "Buffalo cow" – ა-ცუკამბაშ "Buffalo bull"...

In some cases Abkhazian language constructs hybrid composites for dog breeds: ა-მაწარლა “hound”; ა-ლამურა “Shepherd”...

Also we consider here religious/ritual terms (ანცარემზებ "Divine retribution", ჯაჰაშქარნება / ჯახაშქარნება "Abkhazian pagan ritual place", ა-ბერთეფ / ა-ბაირთეფ "მონასტერი"...), names of months (ბ~აჩხამამზა "January", ხ~აჟგკენ-მზა "February", მარემემზა "August, St. Mary's month"...), buildings (ა-განუნგ "Type of house", ა-ჯარგალუნგ "hut", ადსერუნგ "house with haulm roof"...), culinary terms (ა-ცხარანჯ "Honeycomb", ა-ხარწესგებალ "Yogurt food", ა-ჩეა-ჯგკა "food, bread and salt"...).

There are relatively less (though existing) number of hybrids in Kartvelian languages, mostly met at Samurdzakhano toponyms: ჯოლორმაგა, დიდაზმახი, ჭუბურამმახი, ახრამ წყურგილი, წყარამაჰაფუ...

მემვიდე საერთაშორისო კონფერენცია “განათლება, ეკონომიკა და მდგრადი განვითარება”, გორი, 2015, გვ. 461–463

International Conference "Education, Economy and Sustainable Development, Gori, 2015, p. 461–463